1 მაისი

ხუთშაბათი

2025

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

წმ. იოსებ მშრომელი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36,

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

მამას უყვარს ძე

იო 3,35

იესო, ამ სიტყვებში ამოვიცნობთ შენს სიხარულს. მამის სიყვარული გამდიდრებს, გამშვენიერებს და გაცოცხლებს. ზოგჯერ მამა მომთხოვნია, რამეთუ მას მხოლოდ შენ როდი უყვარხარ, მას ცოდვილებიც უყვარს, რომლებიც ხსნისათვის შენგან შესაწირავს საჭიროებენ. სიყვარულია ის, რასაც ქრისტიანები თანმიმდევრულად მოქმედებენ ყოველდღიურ ჯაფაში, წმინდა იოსების მაგალითით გამხნევებულნი.

2 მაისი

 პარასკევი

2025

პასექის ჟამის II კვირა [II]

წმ. ათანასე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +373, (მ) თ

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

თქვა იესომ: უთხარით ხალხს, დასხდნენ იო 6,10

იესო მოწაფეებს ესაუბრება. ისინი ურჩევენ, რომ გაუშვას ხალხი, მაგრამ იესო არ უსმენს მათ. გაუშვას? არა, ცათა სასუფეველში ასე არ ხდება. მწყემსი არ უშვებს მშიერ ცხვრებს. „დასხით ხალხი“, ანუ მოიწვიეთ ისინი მაგიდასთან. პურს თავად მისცემთ, ჩემი კურთხევით მიიღებთ მამისაგან. ცათა სასუფეველში ფული როდი ტრიალებს, არამედ სიყვარული!

3 მაისი

შაბათი
2025

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის 1კორ 15,3

ამ ორმა მოციქულმა იცოდა, რომ იესოც
მათი ცოდვების გამოც მოკვდა, ამიტომაც
მადლიერებით გაწირეს თავი მისთვის.
დღეს კი ჩვენთვის ლოცულობენ,
რათა ჩვენც გვებოძოს მიტევება და
მასთან ერთად ახალი სიცოცხლე.

4 მაისი

კვირა 2025

პასექის III კვირადღე, «გ», [III], თ

საქმ 5,27-32.40-41; ფს 29; გამოცხ 5,11-14; იო 21,1-19

მოდით და ჭამეთ *იო 21,12*

იესო საჭმელად იწვევს შვიდ მოწაფეს, მას შემდეგ,რაც მათ ბადეების სროლისკენ მოუწოდა და თევზებით გადავსებული ამოიღეს. ალბათ ელოდი, რომ სალოცავად და მადლობის სათქმელად მოუწოდებდა? მე ამას ველოდი. არადა, იესო უბრალოებას და თავმდაბლობას აჩვენებს. პირველ რიგში, იგი მათ კონკრეტულ ვითარებაზე ზრუნავს.

5 მაისი

ორშაბათი

2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა იო 6,27

იესო მათთან საუბრობს, ვინც მოწაფეთა მიერ სასწაულებრივად განაწილებულ პურს მიი-რთმევს. მოუწოდებს, რომ უპირველესად საზ-რდო ეძიონ არა კუჭისთვის, არამედ საუკუნო სიცოცხლისთვის. ის პური თავად არის, მან მამისაგან მიიღო ავთენტურობის საწინდარი: „რადგან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა“!

6 მაისი

სამშაბათი
2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 7,51-59; 8,1; ფს 30; იო 6,30-35

დაინახა ღმერთის მარჯვენივ მდგარი იესო საქმ 7,55

მახარებელი ლუკა წმიდა სტეფანეს მოწმეობაზე გვიამბობს. მას მერე, რაც სინედრიონის წინაშე იესოს შესახებ ილაპარაკა, დიაკონი იხილავს დიდებაში აღმდგარ იესოს: ამ ნიჭით თავად უფალი იკრავდა მას თბილად გულში, რითაც სამოთხეს აგემებდა წინასწარ, ვიდრე ჩაქოლავდნენ მას.

7 მაისი

ოთხშაბათი
2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

ფილიპე უქადაგებდა მათ ქრისტეს საქმ 8,5

„ხალხი ერთსულოვნად უგდებდა ყურს, რასაც ამბობდა ფილიპე“. დევნის მიუხედავად, ფილიპე უფალზე ესაუბრება სამარიის მცხოვრებლებს. მისი სიტყვები ხალხს იზიდავს. იესოზე საუბარი მუდამ აღძრავს ინტერესს, სწორედ ამას ელიან, თუნდაც გაუცნობიერებლად.
იესო, შენ კაცთა გულის საუნჯე ხარ!

8 მაისი

ხუთშაბათი
2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

ვინცა ღმერთისგანაა, მხოლოდ მან იხილა მამა იო 6,46

ამ სიტყვებით გვაცნობს თავს იესო. ის იცნობს მამას და ამიტომაც ხელეწიფება ჩვენთან მასზე საუბარი, ჩვენ კი ჭეშმარიტად შეგვიძლია მისი სიტყვის მიღება. იგი ღმრთისაგან მოდის, სხვაგვარად, მხოლოდ ხუთი პურით ვერ დანაყრდებოდა ხუთი ათასი. ხოლო თუ ღმრთისაგან მოდის, იცნობს კიდეც მას და ამ სიტყვების თქმაც ძალუძს: ღმერთი მამაა და მას ვუყვარვართ.

9 მაისი

პარასკევი 2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

ნაციზმზე გამარჯვების დღე

იესო ღვთის ძეა

საქმ 9,20

დაუჯერებელია სავლესგან ამ სიტყვების მოსმენა. სწორედ მისგან, ვინც აგერ ახლახანს, მორწმუნეებს სდევნიდა იესოს რწმენის გამო! ამჯერად, იგი თავად შეხვდა მას, გასხივოსნდა, გარდაიქმნა, მოინუსხა. ამიერიდან უფლება აქვს თქვას და, თქვას დარწმუნებით.

10 მაისი

შაბათი

2025

პასექის ჟამის III კვირა [III], თ

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

უთხრა მას პეტრემ:
"ენეას, ეკურნავს შენ იესო ქრისტე" საქმ 9,34

პირველად როდი ამბობს პეტრე გამამხნევებელ სიტყვებს. ასე მიმართა მან ტაძრის კარიბჭესთან მჯდომ მათხოვარს. ახლა კი ლიდაშია და, თითქოს ყველაფერი რიგზეა, კვლავ იმეორებს, სასწაულს იმეორებს. ეს სასწაული კი ჩვენი რწმენის განმტკიცებას ემსახურება.

11 მაისი

კვირა 2025

პასექის IV კვირადღე, «გ», [IV], თ

საქმ 13,14.43-52; ფს 99; გამოცხ 7,9.14-17; იო 10,27-30

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე
მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ

იო 10,28

ბევრისგან დაუფასებელი დაპირება. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გაგვიგია „საუკუნო სიცოცხლის“ არსი. ვიცი, რომ საუკუნო სიცოცხლე ღმერთისგან მოდის, ღმერთისგან რომელიც სიყვარულია და მამაა, ვინც კაცობრიობას თავისი ძე მოუვლინა ბოროტებისგან გამოსახსნელად. საუკუნო სიცოცხლე – ეს სავსე სიხარული, მშვიდობა და სიწმინდეა. იესო გვაძლევს საუკუნო სიცოცხლეს? ის ღმერთის სიცოცხლეს გვაძლევს!

12 მაისი

ორშაბათი 2025

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

წმმ. ნერეოს და აქილევსი, წამებულნი +304-305 რომში.
წმ. პანკრაციუსი, წამებული, +304-305 რომში.

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,1-10

წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

სულიწმიდა ეადმო-ვიდა მათ. საქმ 11,15

პეტრე იერუსალიმელ ქრისტიანებს ესაუბრება, რომლებიც მას წარმართების სახლში შესვლის გამო კიცხავენ. დიახ, ის შევიდა. კი მაგრამ, რატომ? თავად ღმერთმა წარგზავნა და ნიშნებიც უბოძა საამისოდ. იმ წარმართებზე სულიწმიდა გადმოვიდა! ასე რომ, განსჯამდე, ჯერ მოვუსმენ და გულდასმით დავაკვირდები ღმერთის მოქმედებას.

13 მაისი

სამშაბათი 2025

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

ფატიმის ნ. ქ. მარიამი ,1917

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

უფლის ხელი იყო მათთან საქმ 11,21

როდესაც იერუსალიმში დევნილი ქრისტია-ნები ანტიოქიაში ჩავიდნენ, თავიანთ რწმე-ნაზე მოუთხრობდნენ ხალხს. ამ რწმენის საფუძველზე ცხადდებოდა იესო მათ შორის: "უფლის ხელი იყო მათთან". თავად ღმერთი აღძრავდა რწმენას წარმართთა გულებში, მათში, ვისაც არაფერი სმენოდა მასზე.

14 მაისი

ოთხშაბათი

2025

წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213;
წმ. მარია დომენიკა მაცარელო, +1881, სალელ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

სალელ დედათა დღესასწაული

უფალო, ყველას გულთამხილველო საქმ 1,24

მოციქულები ლოცულობენ. რწმენით ლოცულობენ, მარტივი რწმენით: უფრო მეტად ღმერთს ენდობიან, ვიდრე საკუთარ ცოდნას და გონებას. ღმერთიც არ აყოვნებს პასუხს. მატათა წილისყრით იქნა არჩეული თორმეტთა შორის, იუდა ისკარიოტელის ადგილზე. ბავშვურ ნდობას იჩენენ: ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ ბავშვურად მიმნდობნი ისე, რომ უფალს გული არ ვატკინოთ.

15 მაისი

ხუთშაბათი

2025

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

საქმ 13,13-25; ფს 98; იო 13,16-20

ღმერთმა აღუდგინა ისრაელს მხსნელი იესო- საქმ 13,23

ბარნაბა და პავლე, პისიდიის ანტიოქიაში, შვიდ ბორცვზე აგებულ ლამაზ ქალაქში ჩავიდნენ. შაბათ დღეს სინაგოგაში შედიან და რწმენით ესაუბრებიან ებრაელებს. ხალხს ისტორიას შეახსენებენ, იმ ისტორიას, რომელიც დღენიადაგ მაცხოვრის მოლოდინშია. ამიერიდან ძალუძთ აუწყონ მაცხოვრის მოსვლა: სიხარულის ჟამი დგას. თუმცა, ორივე მოციქული უარყოფილი და დევნილია, როგორც ეს იესომ უწინასწარმეტყველა მათ!

16 მაისი

პარასკევი
2025

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს;
ღირ. მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით საქმ 13,30

პავლე კვლავაც აგრძელებს იესოზე საუ-
ბარს. მისი უწყების გაგება რთულია და შე-
უძლებელი, მაგრამ ეს ღმერთის საქმეა, იმ
ღმერთის, ვისაც უყვარს ადამიანები და მათ
თვალწინ ისეთ სასწაულებს სჩადის, რისი მი-
ღებაც მხოლოდ რწმენით თუ შეიძლება. იესო
მკვდრეთით აღდგა – ეს ღმერთის საქმეა!

17 მაისი

შაბათი

2025

პასექის ჟამის IV კვირა [IV], თ

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია იო 14,11

ასე პასუხობს იესო ფილიპეს, რომელიც მამის ჩვენებას ითხოვს. უკვირს იესოს: ეგონა, მოწაფეს უკვე შეეცნო, რომ ღმერთის ძე ზეციერი მამის ცხოვრებით ცხოვრობს. ამიტომაც ასე მიუგებს: „ვინც მე მიხილა, მამა იხილა“. თუ ცხოვრობ იესოსთან ერთად, სრულ ზიარებაში ხარ მამასთან: შენში მისი სავსე ცხოვრება სჩქეფს!

18 მაისი

კვირა 2025

პასექის V კვირადღე, «გ», [I], თ

[წმ. იოანე I, პაპი და წამებული, +526 რავენაში]

საქმ 14,21-27; ფს 144; გამოცხ 21,1-5; იო 13,31-33.34-35

ღმერთი განდიდდა მასში

იო 13,32

იუდა წავიდა, მიზეზი არავინ იცის. იესომ იცის და გვეუბნება კიდეც. გვაცნობს არა ზედაპირულ მიზეზს, არამედ მას, რასაც თავად ღმერთი ხედავს. ის, რაც იუდამ მოიმოქმედა, ღმერთისთვის იქცა პირობად, რომ განეხორციელებინა თავისი სიყვარულის ღრმა საიდუმლო – ის, რასაც იესო ჯვარზე გაამჟღავნებს.

19 მაისი

ორშაბათი
2025

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

საქმ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

ჩემს მოყვარულს ჩემი მამა შეიყვარებს

გალ 5,22

მადლობა, უფალო იესო, რამეთუ შენ გვიმხელ მამის გზებს. შენს სიყვარულში მყოფნი, შენთან ერთობაში ვართ, რამეთუ სიყვარული აერთიანებს, ნამდვილი სიყვარული გარდასახავს, სიყვარული გვაღვთიურებს. ვეცდები შეგიყვარო მცირე საქმეებში და პატარ-პატარა მორჩილებებით. მადლობას შევწირავ მამას შენი სიყვარულის გამო!

20 მაისი

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

სამშაბათი 2025

(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და
მისი 12 მოწაფე, VIს, (მ);
წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი,
ფრანცისკელი, +1444 აკვილაში (იტალია)

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

უფალს მიანდეს ისინი საქმ 14,23

ეს ბარნაბა და პავლეა, რომლებიც ქალაქებიდან ბრუნდებიან, სადაც ახლადარჩეული ხუცესნი აკურთხეს და უფალს მიანდვეს. უფალი ნათელს მოჰფენს მათ, სულიწმიდის მიერ, რათა შეეწიონ საკრებულოებს, რომ ერთგულების ფესვები გაიდგან სახარებაში.

21 მაისი

ოთხშაბათი

2025

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

წმ. ქრისტოფორე მაგალანესი, ხუცესი და მისი მეგობრები, მექსიკაში წამებულნი, +1926-1928

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

რამდენი რამ მოიმოქმედა ღმერთმა მათი ხელით საქმ 15,4

კვლავ პავლე და ბარნაბაა: იერუსალიმში ჩადიან, სადაც თავიანთ პირველ გამოცდილებაზე მოუთხრობენ, როგორც მისიონერები კვიპროსში და დღევანდელი თურქეთის ცენტრალურ რეგიონებში. არაფერს იქადნიან, არამედ ღმერთს ადიდებენ: სწორედ ღმერთი ხსნის ებრაელთა და წარმართთა გულებს სახარების მისაღებად.

22 მაისი

ხუთშაბათი

2025

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ), თ

წმ. რიტა კასიადან, ავგუსტინელი მონაზონი, +1457

საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

უფალ იესოს მადლით ვადაფრრებით საქმ 15,11

პეტრე აღიარებს ბარნაბასა და პავლეს მისიის დროს მომხდარს. მათი მეშვეობით თავად ღმერთი გაცხადდა და თავისი ძლიერებით იმოქმედა. ხსნა, ანუ იესოსთან ერთობა, წარმართებს ეწყალობა, არც ებრაელთათვის არსებობს ხსნა იესოს გარეშე, რომლის სახელი ნიშნავს "ღმერთი იხსნის"!

23 მაისი

პარასკევი
2025

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

მე აგერჩიეთ

იო 15,16

გმადლობთ, უფალო იესო! შენი მზერის ქვეშ
მომაქციე, რათა აგერჩიე მე და შეგეყვანე
ყველა იმ მოწაფესთან ერთობაში, ვინც შენ
მოგისმინა და შეგიყვარა. ცხადია, შენი ყუ-
რადღების ღირსი არა ვყოფილვარ, მაგრამ
ამჯერად სწორედ შენი ყურადღებით ვხდები
შენი მსახურების ღირსი.
შენ ხარ მბოძებელი და წმიდამყოფელი.

24 მაისი

შაბათი

2025

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე

საქმ 16,9

ხილვა თუ სიზმარია ის, რაც წმიდა პავლეს გადახდა ღამით. უცნობი იხმობს, და ვერ შეუცნია მასში იესო. ყურს უგდებს და ემორჩილება თავის თანაშემწეებთან ერთად. და აჰა, ევროპაში არიან, დღევანდელი საბერძნეთის ჩრდილოეთით. იესოსგან მოდის ეს სასწაული, ვინც კარგად უწყის, თუ სად მიიღებენ მის სახელს და სად გამოიღებს ნაყოფს.

25 მაისი

პასექის VI კვირადღე, «გ», [II], თ

კვირა 2025

[წმ. ბედა ღირსი, ხუცესი, ბენედიქტელი, ეკლესიის მძღვარი, +735; / წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085 სალერნოში (იტალია); / წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწული და კარმელიტელი +1607 ფლორენციაში]

საქმ 15,1-2.22-29; ფს 66; გამოცხ 21,10-14.22-23; იო 14,23-29

რემზე დიდია მამა *იო 14,28*

იესო კვლავაც უცხადებს ნდობას მოციქულებს. მან აუწყა, თუ როგორ წავიდოდა ამ წუთისოფლიდან და დაუბრუნდებოდა მამას. სიხარულის მიზეზი უნდა ყოფილიყო ეს მათთვის, რამეთუ მათი უფალი და მოძღვარი მამის გვერდით იქნება, მისი სისრულით გაიხარებს და მასთან ერთად წარმართავს მორწმუნეთა საკრებულოებს. სიხარულის მიზეზი, რომელიც შვებად ექცევათ ყოველგვარ ჯაფაში!

26 მაისი

ორშაბათი 2025

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

წმ. ფილიპე ნერი, ხუცესი, ორატორიუმის დამაარსებელი, +1595 რომში, (მ)

(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

უფალმა გაუხსნა გული საქმ 16,14

როდესაც ცოდვილი იესოს მიმართ ინტერესს იჩენს, ეს იმის ნიშანია, რომ ღმერთი მოქმედებს მასში. წმიდა პავლე უფლის სიკვდილსა და აღდგომას აუწყებდა, და ლიდიამ, მოვაჭრე ქალმა, სიხარულით ირწმუნა მისი. სასწაულია რწმენა, რომელიც ამ ქალის გულში იშვა, ისევე როგორც რწმენა, რომელიც ჩემში მწიფდება.

27 მაისი

სამშაბათი

2025

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

წმ.ავგუსტინე,კენტერბერის ეპისკოპოსი ,
+604 ან 605

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

პავლე და სილა საპყრობილეში უკეთურ ღმერთს

საქმ 16,25

ისინი საპყრობილეში არიან, არა რაიმე უკეთური საქმის გამო, არამედ იმიტომ, რომ მხევალი მისნობის სულიდან გამოიხსნეს. მისმა ბატონებმა, გახარების ნაცვლად, მოციქულები შეიპყრეს, ვინაიდან სარგებელს ვეღარ იღებდნენ მხევლის მისნობით. ხოლო პავლე და სილა შინაურულად გრძნობდნენ თავს საპყრობილეში, ლოცულობდნენ და უგალობდნენ ღმერთს.

28 მაისი

ოთხშაბათი

2025

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეთელი, მონაზონი, VIს

საქმ 17,15.22 - 18,1; ფს 148; იო 16,12-15

მკვდართა აღდგომაზე რომ მოისმინეს, დასცინოდნენ მას საქმ 17,32

ვინ არ დასცინებს მას, ვინც ადამიანის მკვდრეთით აღდგომაზე დაიწყებს საუბარს? თუმცა არ დავცინებთ მათ, ვინც სიყვარულის გამო კვდება და არც ის გვიკვირს, რომ ღმერთიც არ დასცინის და სიკვდილის ხელში არ მიატოვებს მას. იმ წუთიდან აუწყებს პავლე იესოს ჯვარზე სიკვდილის სიშლეგეს, ვიდრე მის მკვდრეთით აღდგომაზე დაიწყებდა საუბარს.

29 მაისი

ხუთშაბათი

2025

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.

პავლე VI, პაპი, +1978 რომში.

საქმ 1,1-11; ფს 46; ებრ 9,24-28; 10,19-23; ლკ 24,46-53

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

თქვენ ქალაქში დარჩით ლკ 24,49

იესო ბოლო მითითებებს აძლევს მოწაფეებს. ისინი ჯერ კიდევ მზად არ არიან წუთისოფელში გასასვლელად, რამეთუ მათზე სულიწმიდა არ გადმოსულა. ჯერ კიდევ ლოდინი მოუწევთ. თუ გაუგონებენ, ეს დროც დადგება. იესო ზეცად ამაღლდება, მათი თვალთახედვიდან გაქრება. ისინი მარტო დარჩებიან, მაგრამ მოვა აღთქმული სულიწმიდა და მათ წინ გაუძღვება.

30 მაისი

პარასკევი

2025

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

ნუ შეშინდები, ოანაკრძე ლაპარაკი საქმ 18,9

იესო ამხნევებს პავლეს, რომ არ გაჩუმდეს და ილაპარაკოს მასზე ქალაქ კორინთოში. უამრავი სატკივარი და ცოდვა სუფევს ამ ქალაქში, თუმცა ეს როდი აფერხებს სახარებას, პირიქით, სწორედ იქ უნდა ისმოდეს და აღიძვროდეს ღმერთის სიტყვა. როგორ შეცვლის ამ ქალაქის სახეს მრავალი ადამიანის რწმენაში სასწაულებრივი მოქცევა!

31 მაისი

შაბათი

2025

ნ. ქ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ

(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჭანი, +693

სოფ 3,14-17 ან, რომ 12,9-16; საგ.: ეს 12,2-6; ლკ 1,39-56

კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა ლკ 1,42

მაისის თვე სრულდება დღესასწაულით, რითაც აღვნიშნავთ მარიამის მიერ ელისაბედის მონახულებას, უფრო ზუსტად კი, იესოსთან იოანეს შეხვედრას. ელისაბედი, უკვე ხანდაზმული, მუცლად მყოფი ძის სიხარულით აღძრული, პირს აღებს და აკურთხებს მოსანახულებლად მისულ მარიამს, მასთან ერთად ადიდებს მასში ჩასახულ ღმერთის ძეს. მოდით, ჩვენც შევუერთდეთ ამ სიხარულს და კურთხევას.